

1945

№ 18

107

№ 18. 1945 წ.
ბაზოცემის წელი XXII.
ფასი 2 ზან.

ნიანბი

თბილისი.
ბაზოცემის
„კომუნისტი“
ბიბლიოთეკა





—არა ჯონ! დაკვირვების ერთი ატომიც კი არ მარწმუნებს იმაში, რომ ამ ძლე-
ვამოსილ ტრიუმფს რაიმე შეაჩერებს.

ს ა ო ქ ვ ო მ ბ რ ო

როცა იფეთქა ოქტომბრის
რევოლუციის გრივალმა,
ხალხების ჩავგრის ბორკილი
დალეწა დაურიდალმა,

დაიშხვრა მეფის გვირგვინი,
იხარა საქმემ მართალმა,
და მოგვიტანა სინათლე
ოქტომბრის დიდმა სარდალმა.

ჩვენს მტრებს შეშურდათ ზეიმი,
აყვავებული ველები,
სისინს იწყებდნენ აქა-იქ,
ვით შხამიანი გველები;

ამ ჩვენ საყვარელ სამშობლოს
წაუპოტინეს ხელები,

მაგრამ ბევრს დასძვრა კბილები,
დავაყრევინეთ წელები.

მედგარი შრომით ვცხოვრობდით,
ბრძოლებში გამოცდილები,
და სრულდებოდა პირნათლად
ბელადის დანაპირები.

მაგრამ ხომ იცით ნათქვამი:
„მგელი ვერ მოშლის მგლობასა“,
პირში დაგიწყებს ფერებას,
გულში გიპირებს მტრობასა.

თავს დაგვესხა გერმანია,
ვერაგულად ვით აფთარი,
შეჯავშნული მოიწვედა,
გადმოლახა მთა და ბარი.

გზად რაც ნახა, დაარბია,
დააყენა სისხლის ღვარი,
სოფლებს სწვავდა, მხეცსა ჰგავდა
მისი ბანდა, მისი ჯაფარი

სამშობლო
გეოლოგი

ამ მძიმე დროს ჩვენს სამშობლოს
ჩამოაწვა ღრუბლის რიდე,
დიდ ბელადის მოწოდება
შორს გაისმა კილით-კიდე.

აღსდგა ხალხი, რომ დაეცვა
მისი კერა, მისი ზღუდე,
მოეპოვა გამარჯვება,
დაენგრია მტრების ბუდე.

სისხლით მოირწყო ველები,
ისმოდა მოთქმა გლოვანი,
მიწა იწვოდა ცეცხლისგან,
ქექდა ქვემეხი ხმოვანი,

აღსდგა რუსი თუ ქართველი,
ომობდა ბრვე თუ მსცოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი“.

„სამშობლო დედის ძუძუი
არ გაიცვლებს სხვაზედა“.
გავაცამტვერეთ ვერავი
ცაში, ხმელეთზე, ზღვაზედა,

„ქართველმა ხელი ხმალს იკრა“
მტერს მიუვარდა კარზედა,
დაჭკრეს და მოსპეს ურჩხული,
წვიმა შესცვალეს დარზედა.

მგლის დამქაშსაც არ ასცილდა
სასიკვდილო ჩვენი მუშტი,
ხირო ხიტოს იმპერიაც
ვაჭკრა, როგორც საპნის ბუშტი.

იხარე ჩემო სამშობლოვ,
გულს ვარდი გადაგფენია.
დაგვიდგა მშვიდი ცხოვრება,
კვლავ აყვავების დღენია.

„ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია“.
სიცოცხლობდეს დიდი ბელადი,
ძლევაგამოსილი გენია.



კაცი ვინმე, ნიანგელბი,
(ფარსადანი—სხვა კი არა),
სადარბაზოდ განემზადა,—
ზღვა და ხმელი გადიარა.
დაუკვირდა მტერ-მოყვარეთ,
კარგიც ნახა, ავიც ნახა,
და სულ მცირე ბარათების
მოწოდება განიზრახა.
და რადგანაც ნიანგელის
განზრახვაა—იგივე საქმე,
ფარსადანის სადარბაზო
ბარათები მომყავს აქ მე:

ბარათი № ქალაქიდან

მოვისმინეთ მოლოტოვის
საოქტომბრო მოხსენება,
ბევრს იამა! მაგრამ ზოგ-ზოგს
დაურღვია მოსვენება.
სიტის გვერდით ჩავიარე,
ქვითინებდა ვილაც ქუშად:
„ვაი, ჩვენ თავს, ატომური
იმედებიც ჩაგვიფუშა“.

ბარათი არგენტინიდან

— დონ-მუდრეგოს მოკლე ცხვირი
უცხად რატომ დაუგრძელდა?
— მოლოტოვის სიტყვა გულში

ისე მოხვდა, როგორც ელდა!
თვითონ ბრძანეთ—ხალხთა შორის
მშვიდობას თუ მიღწევენ,—
ამ ფაშიზმის შემორჩენილ
ბუდეცაც ხომ დაანგრევენ?
თარსი თვეა ოქტომბერი,
რამდენს იმედს გაუწილებს;
ეს ატირებს დონ-მუდრეგოს
და ფაშიზმის სხვა წიწილებს.

ბარათი მადრიდიდან

„ფიურერის“ დაბნელებულ
მზესა ვფიცავ—ჩუმად ფრანკო,
შენ, ლავალის მოადგილეც,
პოლ რენო, ჩემო ფრანკო!
შენი ბედი მამწარებდა—
არჩვენებში რომ ჩაფლავდი;
სხვა დამერთო ცეცხლზე-ციცხლი,
სევდას ველარ გაუმკლავდი:
ამ ოქტომბრის გრილ დღეებშიც
ფაშიზმისთვის კიდევ დაცხა;
მოლოტოვის სიტყვის ძალამ
მეც მდულარე გადამახსა.

ბარათი ანკარადან

— ვალლა, ყურბანი—ეს ჯახიდი
რატომ იკენეტს ცერის ფრჩხილებს?
— რა ქნას? თუმცა საბჭოეთზე
ბრაზით კალამს აჯახიერებს,

მაგრამ მაგის ციფს და ქორებს,
ალარა აქვს გზა და სიდი,
ჯავრობს: „ფინა როცა ღრინავს,
ქარავანი რატომ მიდის?“

ბარათი თბილისიდან

— ბოქაულს თუ გუბერნატორს
დაფრთხობიათ ძილი რატომ?
— ვერც ხიშტი სჭრის, ვერც მათრახი,
ხალხი მაინც დემოკრატობს,—

სადარბაზო ბარათი საფოტოგლოს


სამშობლოც, შენი ზეიმის დღეებს,
მივეხალმები შანგით მაღალით,—
დაე მსოფლიომ ერთხმად მიშაძლოს
შენი ოქტომბრის დიად მაგალითს.
ძღვევამოსილი ტრიუმფით მოსულს,
თანდაყოლილი რომ აქვს თვისება:
ვინც წინ აღუდგა, გაცამტვერა,
ვინც წინ აღუდგეს—გაისრისება,
ჩვენი ვაშა და ჩვენი დიდება
თან რომ მოწყვება—ვით სამკაული,
აწ ოცდამერვედ მოგვილოცნია
შენი ბრწყინვალე დღესასწაული!

მასვილაძე

ბაბუა ტრამვაი გამოჯანმრთელდა

ტრამვის გაჩერებები ერთი-მეორისაგან ძალზე მოშორებით მდებარეობს

ნახ. დონისა



ტრამვანი: ეჰ, ისიც მახსოვს, რომ მაღ-მაღე ვჭერდებოდი,

ჩასაკვირველია, მგზავრთა მომხახურების მიზნით!




საქ. მხატვართა კავშირი ხსტვანტურად აწუხებს ჩვენი მხატვრების ნამუშევარს განმარტებს, ნიანჭსა დიდხანია განზრახს თავის უფრცხლზე თვითონ ჩვენი მხატვრების გამოდინს მოწუხობს. „ცხზე შენიდან ვატყუებო“, იტყვიან და ამ უმისხვეყნოდ ჩვენს მხატვრებს მათივე კოლექციას მხატვრისა მ. ახლაცქამ „გასქრა ევლა“, ნიანჭს ამით ხანის ქარაველ მხატვართა გამოდინს თავის უფრცხლზე და უმადველად ხსტვანტურად დაუთმობს ადგილს მათგანა მიადნოდ მგობარულ შარკებს.

ეყოთ რაც სხვები ზატვს, ეყოთ რაც სხვებს ზღვიდს სასაცილოდ ამირიდან დე, თავიანი ზატვხაც დახედონ და გაციენონ!

გამოდინის მარტენებელი:

1. ნიკოლაძე ირაკლი — ჩვენი დამახორბული, უფუციო მიქნადაც.
2. თომიძე მოსიძე (არა წინაწარმტყუველი) — მხატვარი, აგრეთვე დამახორბული.
3. მუსათიშვილი აპოლონი — მხატვარი, ეველა გამოდინის აქტიური მიმწელო.
4. კესელაძე სიმონ — მხატვარი, გამომტელოობა მისა და რედაქციების მუდმივი მწელებელი, მაგრამ მანაც უფუცილებელი და საუკარგობი ციცი, კიბეზე დგანან.
5. მახალაძე შალვა — თავისი კარგი მხატვარი და უკარგი მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.
6. ბბაკიძე თამარ — მხატვარი და მიქნადაც.
7. ჯაბუკიძე უჩა — მხატვარი, სტალინის პრემიის ლაურეატი, სახატვრო აკადემიის დირექტორი, რომლის გვარიც არა მარტო მხატვართა კავშირს, არამედ „ნანაის“ სა-

რედაქციო კოლეჯიასაც აწმეუნებს, და მოსიძის მ. მხატვარი ეპოთი, რომელმაც „ნიანჭთან“ მისი წეაღუ მდგარი ურთიერთობის გამო, ვერ გახედას მისი წეაღუ, დიარცხი და პირტყეის ადგირს — თელევიკის უმხატვარე უფრცხლს დავსტა — ვინც მიცუნობს, უფრცხლად მიცუნობს, ვინც არა და უფრცხლად რომ დევეჯობს, ვერ გამოცნობსო, ჩვენი დევეჯობის, მისი გვარი არ ავხებნით და ასეთი წარწერა გავუციეოთ „სტალინის უმხატვარი გამოცნობის უმხატვარი“.



1. ხლებბა ასმი:

— შენ ოთხმოცი წლის მაინც იქნები, ბაბუა, რამდენ ხანსაც შენ მჯდარხარ, ჯერ მეც მოვასწრო იმდენი და მერე ვილაპარაკოთ...

2. ასმეც ხლებბა:

— შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ბიძიკო, კიდევ მოესწრები...

ტ ა შ ი

(უმსაქმეველი უმითხვევა)

ტრესტი საზეიმო სხდომას ატარებდნენ. სიტყვას თვითონ დირექტორი ამბობდა. ამიტომ დასწრება ასპროცენტისანი იყო. ორატორი ლაპარაკობდა აღფრთოვანებით, თავმჯდომარე თვლემდა, ხოლო დარბაზში ზოგს ეძინა, ზოგი კარებისაკენ იყურებოდა. მოხსენების საგანი თუმცა მარტივი იყო, მაგრამ დირექტორს უყვარდა მორთული დარბაზი, გაშლილი დროშები, საზეიმო ვითარება და ტრიბუნა. ტრიბუნაზე რომ ავიდოდა და მთელ ორ საათს გაკვირვდა ათწუთიან მოხსენებას, მაშინ უნდა გენახათ იასონი.

აი, ახლაც, საზეიმო ვითარებაში ატარებდა მოხსენებას—თემაზე: „როგორ მოვაწყეთ სამუშაოზე ფრონტიდან დაბრუნებული ხუთი მებრძოლი“. ჯერ ილაპარაკა სამამულო ომის დაწყებაზე, შემდეგ მის განვითარებაზე, შემდეგ მის დამთავრებაზე. ილაპარაკა საერთაშორისო მდგომარეობაზე, ატომურ ბომბზე, კანცელარიაში გამეფებულ ბიუროკრატებზე და, ბოლოს, ხუთი მებრძოლის მოწყობაზე.

იასონს ხშირად უკრავდნენ ტაშს, ეს მაშინ, როცა იასონი ბორჯომის წყალს მოსვამდა, რადგან ეგონათ ეს-ესაა მოხსენება დაამთავრაო. ბოლოს, როცა მართლა დაამთავრა მოხსენება, იასონს მართლა გულწრფელად დაუკრეს ტაში. იასონმა შენიშნა, რომ ერთი თანამშრომელი ტაშს არ უკრავს. ამ ყმაწვილის სახე ეცნობა იასონს. არა, მისი თანამშრომელი არ არის, მაგრამ ეს სერიოზული სახე სადღაც უნახავს, თითქოს ხშირადაც. ჰო, ეს ყმაწვილი ამ ბოლო დროს ხშირად არის ხოლმე ატუზული მისი კაბინეტის წინ, მისაღებ ოთახში, იასონის პირად მდივანთან. ეტყობა, რაღაცას თხოულობს, მაგრამ ალბად მდივანი ჩვეულებრივი პასუხით ისტუმრებს:—დირექტორი მოხსენებას სწერს, არავის ღებულობს, ხვალ შემოიარეთო.

იჯდა ის ყმაწვილი დინჯად, წყნარად და თავის დამოკიდებულებას ორატორის სიტყვისადმი არაფრით არ გამოხატავდა. —ეჰე! უკმაყოფილო ელემენტი ალბათ,—

გაიფიქრა იასონმა, — მაგრამ ამ ჩვენს კრებაზე რა საქმე აქვს? არა, როგორ წყნარად ზის... მე შენ გიჩვენებ სეირს! მე მთელი დარბაზი ტაშს მიკრავს და შენ კი ფიტულივით ზიხარ? აბუჩად მივდებ?


და იასონმა საქმეთა მმართველს უთხრა: —აი, ის ყმაწვილი ვინ არის, ტაშს რომ არ მიკრავდა?

საქმეთა მმართველი შეიშმუნა, დირექტორის წყენისა მოერიდა და გაუბედავად უთხრა:

—ჩვენი ყოფილი თანამშრომელია. —მერე რომ ყოფილი თანამშრომელია? ტაშის დაკვრა მით უფრო არ მართებდა?

—ცალი ხელი ფრონტზე დაკარგა, ამხანაგო დირექტორო, ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ კარგა ხანს თქვენს მისაღებ ოთახში იცადა, თქვენი ნახვა ვერ მოახერხა. მერე სხვაგან მოეწყო, მაგრამ ძველი ჩვეულების მიხედვით დღეს ჩვენს დაწესებულებაში შემოიარა და შემთხვევით თქვენს მოხსენებასაც დაესწრო.

როდიონ ქორქია



ამბობენ იულიოს კეისარი ერთდამხვე დროს შვიდ საქმეს აკეთებდაო. ბევრ გულუბრყვილოს უკვირდა:

— ეს რა კეისარი ყოფილა, რომ ერთი თავით და ორი ხელით შვიდ საქმეს უძღვებოდა?

გულუბრყვილოებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ იმ კეისარის ამბავი აღარ გვაკვირვებს მას შემდეგ, რაც სოფელ ახმეტაში გამოჩნდა კაცი, რომელიც მარტო ორი ხელით და, თავის მიუშველებლად კი—მთელ „დუჟინ“ საქმეს ერთდამხვე დროს აკეთებს:

გაიცანით—ეს არის ლადო ანიკაშვილი.

იგი გახლავთ პროფესიით ექიმი. ამავე დროს თანამდებობით ახმეტის ჯანგანი. სიტყვის თამაში ნუ ჩამოგვართმევთ და, ილბალს მისთვის ჯანგანობა და ჯანგანობა ისე მოხდენილად შეუთავსებია, რომ ქვას რომ ხელი მოუჭიროს—წყალს გაადენს.

მოდით და ასეთი ჯანგანი კაცი, მარტო ჯანგანში დასვით. არა სჯობს ჯერ სამკურნალოდ გაუხადოს საქმე—ზოგს „ჭელეთ-მელეთი“ დამართოს, ზოგს შინით გულის ფრიალი მოგვაროს, რომ კლიენტებს უფრო კარგად შეერგოთ მისი წამალი? ერთის სიტყვით, არა სჯობს ჯანგანობასთან შეთავსოს „საქმენი საგმირონია“?

ჰოდა, აი, ერთხელ დაფიქრდა ამაზე ანიკაშვილი, მუხსიერებაში გადათვალავდა ქვემო-აღწეულ ექიმის, თინა ჯანდიერის „დიდად საქმიანი მოწერილობანი“ და სთქვა:

— მოდი, წავალ და ბანდიტს დაევიტრო!

შეაბამეინა თავისი „შარბანი“, თუშური გორგალივით ჩაგორდა შიგ და არსენა ოძელაშვილივით ჯერ ახმეტაში „გააჭენ-გამოაქენა“, ხოლო შემდეგ ალვანი-საკენ დაეშვა ღლინით:

„ახმეტაში ჯანგანი ვარ, ახ, ნეტავი მეო“.

ეს იყო ამა წლის 27 სექტემბერს. ლადომ თავისი რაიონის საზღვრები გადმოლახა, ჩიანავარდა ქვემო-აღწეში, მოასვა გვერდით თინა ჯანდიერი და პირდაპირ შეიკრიბათა სოფელ ლალისყურში. ამით მან მეორე საჯანგანო რაიონის ხელუხლებლობის კანონი დაარღვია, მაგრამ რას დაგიდევდეთ?

— აქეთ მიუხვავ, იქით გაუხვავ, ამ ორდობეში შეუხვავი!—ასწავლიდა თინათინი „მხედარს“.

და მიჰქროდა მათი „შარბანი“.

უნდა გენახათ რა წიკობა, რა ქათმების კრიახი და გარბენ-გამორბენა ასტეხა ლადომ ორდობებში. ბოლოს შეაქროლა ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრის, სამამულო ომის მონაწილე ბაკურიძის ეხოში. ოჯახის წევრები სამუშაოზე იყვნენ. სახლში 87 წლის ყრუ დედაბერი დახვდა.

— ხელები მალა, „ნი სმესტა!“—შეუტია ვაჟაკურად ლადომ და მსუქანი მუშტები დაანახა.

— არ მესმის შკილო, ვის ჰკითხულობთ გენაცვალე! ანიკაშვილმა „ფალიასავით იფეთქა“.



— ერთი უყურეთ ამ სიმულიანტსა!—დაყრუებაც რომ მოიგონა! ეგ „იშკილი“ არ გიშველის, —გამიღე კარი, აქ ბანდიტი უნდა დაევიტრო!

— არ გესმის დედაბერო?— შეუტია თინათინ ჯანდიერმა, —ჩქარა გააღე, ბანდიტი, ექიმი ეფრემიძე უნდა შევიპყროთ. —სახლი უნდა გაგიჩხრიკო!

ჩოჩქოლის ხმა ბოსტანში შეესმა ოჯახის დიასახლისს, კოლმეურნეობის ბრიგადირის ცოლს—სოფო ბაკურიძეს. იფიქრა—სახლს ცეცხლი ხომ არ გაუჩნდაო, —ეცა ეზოს, და... შემოაღწერილი „მხიარული“ სცენა კი დაუხვდა. ახლა სოფოს შეუტრიალა თვალგებთან ანიკაშვილმა მსუქანი მუშტები:

— ახლავე სახლი უნდა გაგიჩხრიკო, ბანდიტი უნდა დაევიტრო—გააღე კარი!

მედიკალიზაცია

მე-9 პოლიკლინიკაში ელნათურები არ გააჩნიათ. ექიმს სიბნელეში უზღებია ავადმყოფების გასინჯვა.

კორესპონდენტი ილიდან



ექიმი: თქვენ სუსტი გული გქონიათ, მოქალაქე! ავადმყოფი: რას ბრძანებთ, ექიმო, გულს მანდ უნდა, ნუაუ მუცელში ჩამივარდა?!

საბარგო საღვებო

ერთერთ საბარგო სადგურში გაფაციცებული მუშაობაა:

მტვირთავი ყუთიდან მსხლებს ალაგებს და მეორე მტვირთავს ელაპარაკება:

— ოციდან ხუთი ყუთი აღმოჩნდა გატეხილი?

— მე რე რა, ბევრია?

— ბევრი კი არა, ცოტაა. ვინ იცის ვიდუბებით და დანარჩენ ხუთმეტში უკეთესი მსხალი ალაგია.

— შევამოწმოთ?

— მხოლოდ მწონავმა არ დაგინახოს.

— ვითომ გაჯავრდება?

— კი არ გაჯავრდება, წილს მოგვთხოვს ამ დროს შემოდის ვიღაც მოქალაქე და მტვირთავებს ხელი ეშვებათ.

— უკაცრავად, ბარგი მაქვს გასაგზავნი. — ეუბნება მოსული მწონავს.

— სადგურის უფროსის განკარგულებაა საქირო.

— მაქვს.

— ბევრია?

— ორასი კილოა.

— მაგდენს ვერ მივიღებ.

— როგორმე უნდა მომიხერხო.

— კაცო, რა ხასიათი გაქვთ. სხვას აღარ უნდა ცხოვრება? ორასი კილო რომ შენი გავაგზავნი, სხვას რაღა ვუყო?

— სხვისიც გავაგზავნე, ბატონო, ძნელი საქმეა?

— ამდენი მოთავსდება მერე ვაგონში?

— შე კაცო, ვაგონში ოცდაათი ტონა ჩადის და ორასი კილოთი გაივსება?

— მოქალაქე, ზღვა კოვებით დაიღვევაო. არ გავიგონია? არა მაქვს ადგილი, მორჩა და გათავდა!

შეშინებულმა სოფომ მთვრალი კაცის ახირებად ჩასთვალა ანიკაშვილის მუქარა და მაიმუც კაბუთო მოსთხოვა. (გახსენებაზე უნდა ითქვას, რომ ცოტა ღლინო ვერ ათრობს ლადოს, —კაი მსმელია—ამბობენ).

— მე უბრალო ქალი ვარ, მაგრამ ვიცი, რომ ჩხრეკის დასტურს პროკურორი უნდა იძლეოდეს. — მილიცია მაინც უნდა ესწრებოდეს. რა საბუთის ძალით გვიკარდებთ?

— აი საბუთი!

და ლადომ ავთანდილივით შელენწა ბაკურიძის სახლის კარი. „ბახტრიონი აღებულები აღმოჩნდა“. შეცვივდნენ შიგ, აფთორიექს ოთახი: წალოებიდან, ზანდუკებიდან, ტახტებიდან გადმოყარეს ბარგი-ბარხანა, შემდეგ კი—გინებით და ყვირილით რამოდენიმე საგანი (და მათ შორის ორიოდე მუჭა დაფქული ქონდარი). რომლებიც თურმე აღნიშნული ოჯახის რძალს, იქ სტუმრად ჩასულ ექიმ ეფრემიძეს ეკუთვნოდა, —ჩაყარეს თვით სოფოს ჩემოდანში და ჰაიდა! ამ ნადეკლით დაბრუნდნენ უკან ღლინით:

„ახ ნეტავი მეო“.


თვითონ ბრძანეთ—განა ეს შეიძლება—შვიდი გმრობა არ არის? რაღა მოსაგონია ლადოსთან კეისარი?

ჩუმობა იქით იყოს და ერთი შენიშვნის ნება დაგვრთოს ანიკაშვილმა:

ვინ იყო ის „ბანდიტი“, რომლის დაჭერასაც იგი ლამობდა, ჩვენ არ ვიცით, (ალბად თუ ასეთი ვინმე აღმოჩნდა, მას სათანადო მომვლელი თვით ახმეტაშიც ჰყავს), მაგრამ რამდენადაც საბჭოთა კონსტიტუციაში ვერკვევით, ჯანგანის უფუნქციებში არ უნდა შედიოდეს არც სხვის რაიონში შეჭრა, არც კოლმეურნეთ ოჯახების ჩხრეკა და ნივთების წაღება, არც დაპატიმრება.

ზემოთ მოთხრობილიც სწორედ ამ თვალსაზრისით გვანტერგებს და გვგონია, რომ ეს არც პროკურორისათვის იქნება ინტერესს მოკლებული.

ზურაბლოხანი



41-ის ზამთარში მთელი ქვეყანა შეჭარა,
ტრაბახით გაიძახოდა, გონდაკარგული მკვებარა:
„ჩემი ტანკები მივიდნენ უკვე მოსკოვის კარამლის,
შვიდნოემბრისთვის კრემლის წინ ჩემს ჯარს ექნება პარადი“.

მაგრამ დღეს თვითონ სადღაა, ან მისი აღოქმა სად
40 წლისას აღარ გავს, 45-ის ზამთარი,
მოსკოვში ისევ მზე ბრწყინავს, ბერლინს დაუდგა ავტო